საქართველოს კანონი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13(20), 1999 წელი, მუხ. 52) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება;“

2. 89-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 89[1] მუხლი:

„მუხლი 89[1]. გადაწყვეტილების აღსრულება ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეზე

1. სააღსრულებო წარმოება ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების/განჩინების შესასრულებლად იწყება სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.
2. აღსრულებას უზრუნველყოფს ის სააღსრულებო ბიურო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იმყოფება ბავშვი.
3. სააღსრულებო ბიურო აღსრულებას იწყებს კრედიტორის განცხადების, სასამართლო გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, ხოლო თუ სასამართლოს გადაწყვეტილება მოწინააღმდეგე მხარისაგან ბავშვის გადმოცემასთან დაკავშირებით მიღებულია სასამართლოსადმი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიმართვის საფუძველზე, ამ უკანასკნელის განცხადების, სასამართლო გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.
4. აღსრულება უნდა დაიწყოს სააღსრულებო ბიუროსადმი კრედიტორის/მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წერილობითი განცხადებით მიმართვის დღიდან. განცხადებას თან უნდა ერთოდეს სასამართლოს გადაწყვეტილება და სააღსრულებო ფურცელი.
5. აღსრულების დაწყებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა, სააღსრულებო ბიურო მოვალეს უგზავნის წერილობით მოთხოვნას გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების პირობების შესახებ.

6. მოთხოვნაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების ვადა უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად, საქმის სირთულისა და ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს 7 სამუშაო დღით, მოთხოვნის გაგზავნიდან.
7. მოთხოვნაში უნდა აისახოს მისი დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები, კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხები.
8. გადაწყვეტილება ნებაყოფლობით აღსრულებულად ითვლება, თუ მოვალე ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში შეასრულებს სააღსრულებო ბიუროს მოთხოვნას მასში მითითებული პირობებით. გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულება წარმოადგენს დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველს, გარდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისა.
9. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ვადასა და პირობებით გადაწყვეტილების შეუსრულებლობა წარმოადგენს უარს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებაზე, იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით და იწყება იძულებითი აღსრულება.
10. გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მათ შორის, უქმე ან დასვენების დღეს, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან და ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე.მოვალის დასწრება აღსრულების პროცესში სავალდებულო არ არის. აღსრულების პროცესში უნდა მონაწილეობდეს სოციალური მუშაკი.
11. აღსრულების პროცესში კრედიტორისა და მოვალის მონაწილეობა წარმომადგენლების მეშვეობით დაუშვებელია.“

მუხლი 2.

2019 წლის 1 იანვრისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმოებაში არსებული, ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმეები გადაეცეს ამ საქმეთა აღსრულებაზე უფლებამოსილ აღსრულების ეროვნული ბიუროს.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმდდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

--, _____ 2018 წ.

N____-__